ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №6

15.02.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომიისის წევრი;
4. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
5. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032204167-03; 10.02.2022);**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ (**12-032204239-03; 11.02.2022).**

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებელი:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

შ.ოგბაიძე - მომხსენებელს ვთხოვ, წარმოგვიდგინოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2022 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (74 779,5 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით. ამასთან, იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 11 854,7 ათასი ლარით. ასევე, იზრდება მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 11 000,0 ათასი ლარის ოდენობით (ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-12 დადგენილება და შპს თბილსერვის ჯგუფის 2022 წლის 2 თებერვლის N62-01220332655 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს **1 392 079,0 ათას** ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - **15 600,0 ათასი** ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - **10 886,1 ათასი** ლარით;
- სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“ (კოდი 10 18) - **540.9 ათასი** ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - **32 000,0 ათასი** ლარით.

ამასთან, ბიუჯეტს ემატება ახალი ქვეპროგრამები. მათ შორის, მეტროს სადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (ქვეპროგრამის კოდი **01 02 03**), ქვეპროგრამის თანხა განისაზღვრა **4 650,0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამის მიზანია, მეტროს სადგურების კაპიტალური რემონტი - ვესტიბიულების განახლება, რეკონსტრუქცია. ბიუჯეტში სიახლეს წარმოადგენს, ასევე საბაგირო ტრანსპორტის განვითარების ქვეპროგრამა (კოდი 01 02 08) რომელიც განისაზღვრება **1 750,0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელდება „მთაწმინდის საბაგირო გზის" მშენებლობის დასრულება, „რიყე-ნარიყალას" და „ჭავჭავაძის გამზირი კუს ტბას" საბაგირო გზის გეგმიური კაპიტალური რემონტი.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ასევე დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა. მათ შორის, სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" **(კოდი 10 18**) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 30 ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 317 299,5 ათასი** ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება **74 779,5 ათასი** ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 242 199,5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო** ბიუჯეტის მთლიანი სალდო 54 248,9 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 3, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032204167-03; 10.02.2022) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" (**12-032204239-03; 11.02.2022).**

დ.ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებით, დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი რომლის მე-13 მუხლით დამტკიცდა ქვეპროგრამა „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი: 06 02 11)“. აღნიშნული ქვეპროგრამის ბოლო აბზაცში აღნიშნულია შემდეგი: „M2 კატეგორიის იმ ავტობუსებით (გარდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსებისა), სადაც დადგენილი ტარიფის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, ერთჯერადი დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით, ქვემოთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებზე შეღავათიანი (ერთი დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს 4 მგზავრობის უფლებით), 50%-იანი ფასდაკლებით მგზავრობის უფლების მინიჭება და ამ შემთხვევაში ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურება (ნებართვების მფლობელთა მიერ ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განსაზღვრული 0,65 ლარიანი მგზავრობის ფასის შემთხვევაში შეღავათიანი დადგენილი ტარიფით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება) თბილისში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედების ზონაში; გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები; ე) მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები; ვ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები.“

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის №76-9 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების მიღების აუცილებლობა. დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის შინაარსობრივ და

ძირეულ ცვლილებებს, მიმდინარე წელსაც სტანდარტულად გრძელდება მოქალაქეთა დაფინანსება

პროექტის ამოქმედებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2022 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ (12-032204239-03; 11.02.2022) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე